საქართველო

№ 33 (60) ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი 15 აგვისტო, 1943 წ.

მორიგი საბჭოთა მანევრი

იყო დრო და ბოლშევიკები ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ „ორი სისტემის“ შეჯახების აუცილებლობაზე. მარქსიზმ-ლენინიზმი საყოველთაოდ აღიარებდა რა ამ შეჯახების აუცილებლობას, იმედოვნებდა მას მოჰყვებოდა „კაპიტალისტური გარემოცვის“ ლიკვიდაცია, გადამწყვეტი ბრძოლა მსოფლიო რევოლუციისათვის. ბოლშევიკები და თვით სტალინი ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ „უძლეველი“ წითელი არმია, მსოფლიო რევოლუციის ეს ნამდვილი იარაღი, მტრის დარტყმას უპასუხებდა ორმაგი დარტყმით, მტერს გაანადგურებდა მისსავე ტერიტორიაზე, ხიშტებით შეიტანდა რევოლუციას ჯერ ევროპაში, მერე სხვა კონტინენტებზე.

ბოლშევიკების ეს ოცნებანი გაცამტვერდნენ. დაიწყო ომი თუ არა, პირველ დღეებშივე ნათელი გახდა გერმანული იარაღის ძლევამოსილება, წითელი არმიის „უძლეველობა“ ქაღალდის ხუხულასავით დაინგრა, საბჭოთა მარშლებმა ერთგულება და ნიჭი მხოლოდ თავგაქცევაში გამოიჩინეს, თავზარდაცემული სტალინი, რომელიც ასე გულმხურვალედ ოცნებობდა მსოფლიო რევოლუციაზე, განსაცდელში ჩავარდა, დადგა საბჭოთა კავშირის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ბოლშევიზმმა დაიწყო სახის შეცვლა, მანჭვა-გრეხა, ტრიუკების კეთება.

ლოზუნგები მსოფლიო რევოლუციის შესახებ ეხლა ბოლშევიკური რეჟიმისაგან დატანჯული ხალხისათვის საძულველი გახდა. სტალინმა მოწოდებით მიჰმართა ხალხს სისხლი ეღვარა ბრძოლის ველზე. ხალხმა არ ისურვა სიკვდილი სტალინისათვის. მაშინ ბოლშევიკებმა გამოათრიეს ახალი ლოზუნგი, — მოვკვდეთ სამშობლოსათვის. ამის შემდეგ ბოლშევიზმმა მრავალჯერ იცვალა სახე, ლენინის ორდენის ნაცვლად დააწესეს — ალექსანდრე ნეველის, სუვოროვისა და კუტუზოვის ორდენები, საბჭოთა ჯარისკაცის მხრებზე მოულოდნელად გაჩნდნენ ოქროს პაგონები; ბოლშევიზმი თითქოს სულერთიანად გადაკეთდა, კლასობრივი ბრძოლის პროპაგანდა კაპიტალიზმის წინააღმდეგ გადაინათლა სადღეგრძელოებში „მინისტრ კაპიტალისტთა“ შესამკობად, ინტერნაციონალური ლოზუნგები შეცვალა ნაციონალურმა ლოზუნგებმა და ბოლოს კომინტერნის გაუქმების კომედია.

საკვირველი არაფერია... ყველაფერი მიმდინარეობს, ყველაფერი იცვლება და ბოლშევიზმიც იცვლის კანს, უმეგობრდება ეშმაკის თითას, ოღონდ განსაცდელისაგან იხსნას თავი. ნაციონალური ლოზუნგები, ყვირილი რუსის ერზე, ნევსკის, სუვოროვისა და კუტუზოვის ორდენები, კომისართა ინსტიტუტის გაუქმება, პაგონების შემოღება — ემსახურება ერთ მიზანს — ეს არის ბოლშევიკური ოინი აიძულონ ხალხი დაივიწყოს ოცდახუთი წლის ტანჯვა და დამცირება, აიძულონ წითელი არმია სისხლი ღვაროს ბოლშევიზმისათვის. მეორეს მხრივ ამ ოინების გათამაშებით სტალინი ცდილობს დაარწმუნოს მოკავშირენი ბოლშევიზმის გარდაქმნაში, პოლიტიკური კურსის რადიკალურ შეცვლაში.

ხალხმა გაიგო ბოლშევიზმის რაობა. ხალხს აღარ სურს სისხლი ღვაროს სხვისი ინტერესებისათვის. მორალურად გადაგვარებულ წითელ არმიის არ სურს იბრძოლოს. ბოლშევიკები ამას კარგად გრძნობენ, მათ ამ უკანასკნელად გაითამაშეს მორიგი ტრიუკი. რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება წითელ არმიაში ოფიცრის წოდების შემოღების შესახებ. გაზეთ „პრავდამ“ მთელს ქვეყანას მოჰფინა ახალი ამბავი. „წითელი არმია არის კანონიერი მემკვიდრე რუსული დიდებისა და გმირობისა“ — ჰღაღადებს იგი. რა დამცინავად მოესმის ეს ღაღადი საბჭოთა ხალხს, ამაზე მეტი უსინდისო თვალთმაქცობა იქნება სადმე? ბოლშევიკები დასცინოდნენ ოფიცრებს, სიტყვა „ოფიცერი“ ოდისღაც საძულველი და დამამცირებელი იყო. „საბჭოთა ოფიცერმა, — განაგრძობს „პრავდა“, — თავისი დანაყოფის მებრძოლი უნდა აღზარდოს ჩვენი სამშობლოს დიადი მებრძოლი ტრადიციების სულით“.

ხალხის გმირულ ტრადიციებს არავითარი საერთო არა აქვს ბოლშევიზმთან, ძველი სამხედრო ტრადიციები, ოფიცრის ღირსება, რაინდობა დაიბადა არა ბოლშევიკური რეჟიმის მარწუხების ქვეშ, არა მშიერი და დამმონებელი საკოლმეურნეო წყობილებისას, არამედ მამულისათვის აღძრულ ჭეშმარიტ დიდ პატრიოტულ ბრძოლებში.

ბოლშევიზმი იყო დრო და ყოველ ღონეს ხმარობდა დაენგრია ნაციონალური არმიები. ბოლშევიკებმა ცეცხლითა და მახვილით გაანადგურეს ოფიცერთა კორპუსი, ათი ათასობით ხვრეტდნენ ოფიცრებს, იუნკრებს... 1917-18 წლებში მათ სრულიად გახრწნეს რუსული არმია, ფეხქვეშ გასთელეს ოფიცრის ღირსება, დააწესეს რა პოლიტიკურ კომისართა ინსტიტუტი. რა დევნასა და შევიწროებას განიცდიდა ყოფილი ოფიცერი საბჭოთა წყობილების დროს, თვითეულ ჩვენგანისათვის ნათელია. ბოლშევიკებმა ფიზიკურად მოსპეს ქართული ნაციონალური ჯარის საუკეთესო ოფიცრობა, დაშალეს ქართული ნაწილები, რათა ძირშივე აღეკვეთათ ყოველივე ნაციონალური ამოძრავება.

ყველა ამის შემდეგ ეხლა ბოლშევიკები აწესებენ ოფიცერთა კორპუსებს, ჰყვირიან ოფიცრის ღირსებაზე. გასაკვირი არაფერია, ეს ასე სჩვევიათ ბოლშევიკებს. „ოფიცერი, ამ მცნებით ჩვენ წარმოგვიდგება თვალწინ დისციპლინისა და სამხედრო გამოწრთობის ნიმუში“ — უსირცხვილოდ აცხადებს „პრავდა“. მაგრამ დიდი ხანი არის მას შემდეგ, რაც ოფიცერზე ლაპარაკობდნენ, როგორც კლასობრივ მტერზე?

საბჭოთა ეს მორიგი მანევრი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ბოლშევიკური რეჟიმი შერყეულია. სტალინის ლოზუნგები ველარ ატყუებენ გაწამებულ ხალხს. ღვთის მოციქულობა, კომინტერნის უკუგდება, პაგონები, ოფიცრის წოდება — ყველაფერი ეს მარტოდენ ხრიკებია ხალხის თვალის ასახვევად. ამ ხრიკებს ხალხი უპირისპირებს მძლავრ სიძულვილს.

თვითეული საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ნათელია, რომ ვერც ეს მორიგი მანევრი უშველის ბოლშევიზმს შეინარჩუნოს ბატონობა. ბოლშევიზმის — კაცობრიობის ამ საშინელი მტრის — მთელი რაობა მზის სინათლეზე გამოიტანა ცხოვრებამ, ისტორიამ მას გამოუტანა განაჩენი. ხალხის სიძულვილისა და საყოველთაო აზვირთების ტალღები დღითიდღე ძლიერდება, ეს ტალღები დაამსხვრევენ კაცთმოძულე ბოლშევიზმს.

ჰამბურგის კომენდანტის დაჯილდოება

ადოლფ ჰიტლერმა ქალაქი ჰამბურგის კომენდანტს, გენერალ-მაიორ ვალეს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეში:

„ნიშნად თქვენი თავგანწირული მუშაობისა, ქალაქი ჰამბურგის მძიმე ბომბარდირების გამო დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში, გაჯილდოებთ რაინდული ხარისხის სამხედრო დამსახურების ორდენით ხმლებითურთ“.

ბირმის დამოუკიდებლობის ცნობა

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ფონ რიბენტროპმა აცნობა ბირმის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ გერმანიის მთავრობა სცნობს ბირმის დამოუკიდებელ სახელმწიფოს და მას გერმანიის მთავრობისა და ხალხის სახელით უსურვებს ახალ სახელმწიფოს აყვავებას.

ბირმის დამოუკიდებლობა იცნეს აგრეთვე სლოვაკიამ და საფრანგეთმა.

ესლა აკლდათ!..

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულობით წითელ არმიაში დაწესებულია ოფიცრის წოდება.

გაზეთებიდან.



რა სურს ბოლშევიზმს?

სტალინის საიდუმლო ბრძანება

რამდენიმე ხნის წინათ გერმანელებს ხელთ ჩაუვარდათ სტალინის საიდუმლო ბრძანება, რომელიც დათარიღებულია 1943 წლის 16 თებერვლით. მაშინ ბოლშევიკები აწარმოებდნენ საზამთრო შემოტევას. მიუხედავად სტალინის ხსენებული ბრძანების ხანდაზმულობისა, მას დღესაც არ დაჰკარგვია თავისი აქტუალური მნიშვნელობა. სტალინმა გამოსცა ეს ბრძანება, როგორც თავდაცვის საქმეთა სახალხო კომისარმა, იგი უშუალოდ მიმართულია მეექვსე არმიის მთავარსარდალ გენერალ - პოლკოვნიკ კუზნეცოვისადმი და ჯარების ჯგუფის სარდალ, გენერალ-პოლკოვნიკ პოპოვისადმი. ეს ბრძანება ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს იმას, რომ ბოლშევიზმის მიზანი — მსოფლიო რევოლუცია და „პროლეტარიატის დიქტატურა“ რჩება უცვლელად.

ბრძანება სხვა დოკუმენტებთან ერთად, რომელიც ეკუთვნოდა მე-25 სატანკო ბრიგადის პოლკოვნიკ პოლიაკოვს, იპოვეს საბჭოთა ბუნკერის ნანგრევებში. პოლკოვნიკმა, რომელმაც თავს გაქცევით უშველა, ვერ შესძლო აღნიშნული ბრძანების თან წაღება ან მოსპობა.

თავის ამ ბრძანებაში სტალინი ანსხვავებს ომის სამს სტადიას. ომის პირველი სტადია ხასიათდება წითელი არმიის უკანდახევით. მეორე სტადია, სტალინის გაგებით, წარმოადგენს მტრის ძალების განადგურებას საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, რომელიც უნდა დამთავრებულიყო საზამთრო შემოტევის დროს.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სტალინის მიერ დახასიათებული მესამე სტადია ომისა, რომლის არსში ის ხედავს მსოფლიო რევოლუციის ორგანიზაციას.

აი ადგილები ამ ბრძანებიდან: „დასავლეთის დემოკრატიის ბურჟუაზიული მთავრობები, რომელთანაც ჩვენ დავამყარეთ კავშირი, ჰფიქრობენ, რომ ჩვენს ერთადერთ მიზანს შეადგენს ფაშისტების განდევნა ჩვენი ქვეყნიდან.

ჩვენ, ბოლშევიკებმა ვიცით, რომ ჩვენი მთავარი მიზნის განხორციელება შეიძლება ომის მეორე სტადიის დამთავრების შემდეგ. მაშინ დაიწყება მესამე, გადამწყვეტი სტადია ომისა — სტადია მსოფლიო კაპიტალის განადგურებისა.

ამავე დროს ჩვენ უნდა მივიღოთ ყველა ზომა იმისათვის, რათა მსოფლიო კაპიტალისტებმა ვერ შესძლონ ჩვენი მიზნების წინასწარი გაგება. ეს ღონისძიება აუცილებლად უნდა იქნას გატარებული იმ შემთხვევაში, თუ ომის მეორე სტადია გაგრძელდება.

ამ შემთხვევისას ჩვენ განსაკუთრებული დახმარება დაგვჭირდება ჩვენი მოკავშირეებისაგან მეორე ფრონტის შექმნის საქმეში.

მითუფრო ჩვენი ტაქტიკური ღონისძიების გამო თქვენ არ უნდა იქნათ შეყვანილი შეცდომაში, რადგან, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთაც შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება იმისა, თითქოს ჩვენ ზურგი შევაქციეთ ჩვენს ძირითად პრინციპებს. არა, ჩვენ არასოდეს არ შევაქცევთ მათ ზურგს! გახსოვდეთ ეს და სწორეთ ეს შეგნება ჩაუნერგეთ ყველა ჩვენს ერთგულ პირს.

„ჩვენს ერთადერთ მიზანს შეადგენდა და დღესაც შეადგენს მსოფლიო რევოლუცია, პროლეტარიატის დიქტატურა მთელს მსოფლიოში. და როგორც მე შევფიცე ლენინს მის ცხედართან, ისე თქვენც არ უნდა დაივიწყოთ ეს ფიცი.

ყოველთვის იფიქრეთ ომის მესამე სტადიაზე, რომელიც სდგას თქვენს წინაშე და რომელსაც აქვს ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა. ჩვენ დავდეთ მთელი რიგი ხელშეკრულებები, რადგან ამას ვსაჭიროებდით მესამე სტადიის მისაღწევად.

გახსოვდეთ მუდამ, რომ ჩვენს დევიზად რჩება: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! და ჩვენს მიზნად რჩება მსოფლიო დიქტატურა პროლეტარიატისა“.

თავისთავად ეს ბრძანება არ შეიცავს არაფერს სენსაციურს. ყველა ის, ვინც კარგად იცნობს ბოლშევიზმის ბუნებას, აშკარად მიხვდება, რომ ევოლუცია ბოლშევიზმისა მიმართული დემოკრატიისაკენ, არის მორი-

დასასრული მე-2 გვ.

სტალინის საიდუმლო ბრძანება

დასასრული

გი მოჩვენება, რომელიც შექმნილია ბოლშევიკების მიერ, რათა თავის მხარეზე გადაიბირონ დასავლეთი ევროპის გულუბრყვილო დემოკრატია.

ბოლშევიკების მიერ დემოკრატიის ასეთი მოჩვენებითი აღიარებით დაბრმავებული პლუტოკრატების აზრის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ამონაწერს შვეიცარიის ერთერთი გაზეთიდან:

„საბჭოთა კავშირი გრძნობს დემოკრატიისადმი სოლიდარობის შეგნებას არამც თუ მარტო ომის პირობებში, არამედ ზავის დროსაც. ბოლშევიკები მზად არიან პატივი სცენ ევროპის თავისუფლებას და არ უნდათ მომავალში იყონ ცხოვრებისაგან იზოლირებული“. ინგლისისა და ამერიკის მთელი რიგი გაზეთები მოითხოვენ უფრო მეტ დაახლოვებას და თანამშრომლობას საბჭოთა კავშირთან. მაგრამ თუ ყველა ინგლისელი და ამერიკელი არ წამოეგო ამ ანკესზე, ყოველშემთხვევაში ისინი წყალს ასხამენ მსოფლიო რევოლუციის სტალინური „მესამე ეტაპის“ წისქვილზე.

მაგრამ ევროპისა და, პირველ რიგში, გერმანული პრესა აძლევს თავისთავს სრულ ანგარიშს ბოლშევიკური მიზნების შესახებ. სტალინის ბრძანების თაობაზე ნორვეგიის პრესა აღნიშნავს შემდეგს:

1. მსოფლიო რევოლუცია რჩება ბოლშევიკების საბოლოო მიზნად.
2. სტალინი მიისწრაფის შეცდომაში შეიყვანოს თავისი დასავლეთის მოკავშირენი.

„აფტენპოსტენი“ მიდის იმ დასკვნამდე, რომ ბოლშევიკები ერთგულნი დარჩნენ საკუთარი თავისა. სტალინის ბრძანება, გაზეთის აზრით, წარმოადგენს არამც თუ სამხედრო ბრძანებას, არამედ ეს არის მსოფლიო მნიშვნელობის ბოლშევიკური პროგრამა.

ყოველ შემთხვევაში სტალინის ბრძანებას მთელი თავისი სიცხადით შეუძლია დაარწმუნოს ეჭვით შეპყრობილები იმაში, თუ რა არის ბოლშევიზმი —ეს საშინელი სენი ჩვენი ეპოქისა.

პირველი ფრანგული პოლკი

ვიშიდან მიღებული ცნობების თანახმად, ამჟამად საფრანგეთში ყალიბდება „პირველი ფრანგული პოლკი“. ეს პოლკი იქნება შედგენილი ორი ქვეითი ათასეულისაგან, აგრეთვე ცხენოსნების, ველოსიპედისტებისა და სანიტრების შერეული ათასეულისაგან. პოლკის ფორმა იქნება ისეთივე, როგორიც ჰქონდათ წინანდელ ფრანგულ სპეციალურ ნაწილებს.

პირველი პოლკი შედგენილი იქნება მხოლოდდამხოლოდ მოხალისეებისაგან.

იტალიის ბოლშევიზაციის მოთხოვნა

უმაღლეს პალატის უკანასკნელ სხდომაზე ლორდ კრენბორიმ კაბინეტის სახელით განაცხადა იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობა თანახმაა ინგლის-ამერიკის მოთხოვნილებაზე იტალიის უსიტყვოდ კაპიტულაციის შესახებ. მისი სიტყვით, სტალინმა კარგად იცოდა ამ ოპერაციის სამზადისის შესახებ.

ეს განცხადება არ ეხება საკითხის არსებითს მხარეს, ვინაიდან, როგორც ცნობილია, სტალინი უკმაყოფილებას გამოსთქვამდა საქმის არა სამხედრო მხარის, არამედ იეზენჰოვერის პოლიტიკური ღონისძიებების გამო ჩრდილოეთ აფრიკასა და სიცილიის ოკუპირებულ ნაწილში.

ბრიტანეთის კვირეულ გაზეთის „ნიუსტეტსმენის“ განცხადებით ბოლშევიკები უკმაყოფილონი არიან იმითაც, რომ ინგლის-ამერიკელებმა მარშალი ბადოლიოსადმი დაიკავეს უარყოფითი პოზიცია, არ უთქვამთ პირდაპირ ის, რომ ისინი სცნობენ მხოლოდ „რევოლუციურ საბჭოს, დაყრდნობილს იტალიის მუშებზე“.

საბჭოთა საელჩო ლონდონში აშკარად ეწევა აგიტაციას იტალიაში მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს შექმნის შესახებ.

დოქტორი ბა მავი და გერმანია

დამოუკიდებელი ბირმის მეთაურმა, დოქტორმა ბა მავმა ინტერვიუ მისცა გერმანიის საინფორმაციო ბიუროს უფროსს ბანგკონგში. დოქტორმა ბა მავმა გერმანიას გადასცა თავისი გულითადი სალამი მისი ცხოვრების ისტორიულ პერიოდში.

ბირმელი ხალხი, განაცხადა დოქტორმა ბავმა, მუდამ აღტაცებაში მოდიოდა გერმანიის არაჩვეულებრივი სამხედრო ძლიერებით, მისი მეცნიერებით, კულტურითა და სახელმწიფო სიბრძნით. ნაციონალ-სოციალისტურმა რევოლუციამ ბევრი ასწავლა ბირმელებს. ბირმა ამაყობს იმით, რომ მას ჰყავს მოკავშირე გერმანიის სახით. მე შემიძლია დავარწმუნო გერმანიის ხალხი, დაასრულა დოქტორმა ბა მავმა, იმაში, რომ დამოუკიდებელი ბირმა ყველა ღონეს გამოიყენებს საერთო მტერთან საბრძოლველად.



გერმანული ტანკი „ტიგრი“ აღმოსავლეთის ფრონტზე.

იტალიის კატარღები გიბრალტარში

იტალიის ჯარის უმაღლესი სარდლობის ცნობით 5 აგვისტოს ღამით, იტალიის მოიერიშე კატარღები შეიჭრნენ გიბრალტარის ნავთსადგურებში და ჩასძირეს მტრის „ლიბერტის“ ტიპის ორი დიდი გემი და ერთი ნავთსაზიდი გემი 10 ათასი ბრუტტოტონის წყალწყვით. 8 აგვისტოს ღამით წყალქვეშა ნავმა, რომელიც აცილებდა საკატარღო გემებს კვლავ მოახერხა შეჭრილიყო გიბრალტარის ნავთსადგურებში და ჩასძირა იქ ორი ბრიტანული (17.000 ბრუტტოტონა) და ამერიკული გემი (7.500 ბრუტოტონა).

იტალიის კატარღებმა ამ ომის მანძილზე ჩაატარეს რამდენიმე გმირული ოპერაცია, რითაც მტერს მიაყენეს დიდი ზარალი. უკანასკნელი ოპერაციებით, მათ კვლავ დაამტკიცეს თავიანთი მაღალი ბრძოლის უნარი, გამოიყვანეს რა მწყობრიდან მტრის გემები, რომელთა საერთო წყალწყვა 50 ათას ტონას აღემატება.

იტალიის საზღვაო ფლოტის ეს ახალი წარმატება წარმოადგენს ღირსეულ პასუხს ჩერჩილის ცინიკურ განცხადებაზე „უნდა ვაიძულოთ იტალია მოიხარშოს საკუთარ წვენში“ და კაპიტულაციის უყოყმანოდ მოხდენაზე.

მოკლე ცნობები

***ამოღებულია შვეციის ამას წინათ ჩაძირული წყალქვეშა ნავი „ულვენი“.**

***თურქეთის ახალ ელჩად საფრანგეთის მთავრობასთან ვიშში დანიშნულია საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილი გენერალური მდივანი შეფკი ბერკერი.**

***ლისაბონიდან იტყობინებიან აზორის კუნძულებზე პორტუგალიის ჯარების დიდი მანევრების შესახებ.**

***შვეიცარიაში გადახდილ იქნა მე-625 წლისთავი დღიდან შვეიცარიის კავშირის დაარსებისა.**

***გარდაიცვალა ჩუნცინის ჩინეთის პრეზიდენტი ლინ-სანი. მის მოადგილედ რჩება ჩან-კაი-შეკი.**

***გიბრალტარში მოვიდა მძიმედ დაშავებული, „ილუსტრიის“ ტიპის ბრიტანეთის ავიამზიდი.**

***ჩუნცინის მთავრობამ ოფიციალურად აცნობა ვიშში საფრანგეთის მთავრობას მასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ.**

***ჩინეთის ნაციონალურმა მთავრობამ იცნო ბირმის ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო.**

***მანჯუ-დი-გოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბირმის სახელმწიფოს მეთაურს გაუგზავნა მისასალმებელი დეპეში.**

***შვეიცარიის კავშირის პრეზიდენტმა ცელიომ სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც აღნიშნა, რომ შვეიცარია დაიცავს თავის ნეიტრალიტეტს.**

***იაპონიის სამხედრო სამართველომ იავაზე შეჰქმნა სამოქალაქო საბჭო, რომელშიც შევიდნენ იავის ცნობილი მოღვაწენი.**

მდგომარეობა ფრონტებზე

კვირეული მიმოხილვა

მძაფრი ბრძოლის სურათი აღმოსავლეთის ფრონტზე არსებითად არ შეცვლილა უკანასკნელ დღეებშიც. ფრონტის თითქმის ყველა უბანზე სწარმოებს გააფთრებული შემოტევა, მაგრამ ბოლშევიკებმა ვერ მიაღწიეს ოდნავ უპირატესობასაც კი. რამდენიმე დღის შესვენების შემდეგ ბოლშევიკებმა ყუბანის ხიდისთავთან კვლავ განაახლეს თავიანთი იერიშები, რომლებიც მძიმე ბრძოლით იქნა უკუგდებული და განადგურებული გერმანელთა მიერ.

დონეცსა და მიუსთან გერმანიის არმიის თავდაცვითი ოპერაციების წარმატებით ჩატარებისა და კუიბიშევთან განვითარებული გამანადგურებელი კონტრშეტევის შედეგად სუფევდა შედარებითი სიმშვიდე. ბრძოლის მთავარი ცენტრი ამჟამად კვლავ იმყოფება ორიოლ-ბელგოროდის რაიონში, აქ მტერი, გადმოისროლა რა ახალი ძალები, სცდილობს გაარღვიოს გერმანიის არმიის თავდაცვის ხაზი, როგორც ეს აღნიშნული იყო გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის უკანასკნელ ცნობაში, გერმანელებმა ფრონტის ხაზის შემოკლების მიზნით მტრის დაწოლის გარეშე დასტოვეს ორიოლი. ამით გერმანელებმა გააცამტვერეს ბოლშევიკების ცდა ქალაქის სამხრეთ-დასავლეთიდან მეტად მძიმე პირობებში ეწარმოებინათ ძლიერი შემოტევანი ფლანგის შემოვლის მიზნით. ქალაქი ორიოლი იმყოფება უშუალოდ საბრძოლო მოქმედების ახლოს, ბრძოლის შედეგად იგი შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდდამხოლოდ ნანგრევებად იქცა. მოსახლეობამ, გრძნობდა რა ბოლშევიკების შემოსვლით გამოწვეულ საშინელებას, დასტოვა ქალაქი და გადასახლდა ზურგის ოლქებში. გერმანელებმა გეგმაშეწონილად რამდენიმე კვირის განმავლობაში მოსპეს „გერმანული საფუძვლიანობით“ სამხედრო ნაგებობანი. ორიოლი —ეს ნანგრევების ქალაქი მეტად ძვირად დაუჯდათ ბოლშევიკებს. ორიოლისათვის ბრძოლაში მათ დაჰკარგეს 600 ათასი ჯარისკაცი! მთელი თვის ბრძოლა, რომელსაც ასე მძაფრად და კოლოსალური დანაკარგით აწარმოებენ ბოლშევიკები, დამთავრდა მეტად უმნიშვნელო ტერიტორიული წარმატებით, რომელსაც, შეიძლება ითქვას, არავითარი სტრატეგიული მნიშვნელობა არ აქვს. ეს იქიდან სჩანს, რომ ბოლშევიკები ეხლაც აწარმოებენ კონცენტრირებულ შემოტევებს, განიცდიან უდიდეს ზარალს, ფრონტალური ხასიათის წარმატებას კი ვერ მიაღწიეს.

ბელგოროდთან კვლავ გრძელდება მეტად მძიმე ბრძოლა. ბოლშევიკებმა აქ განიცადეს კოლოსალური ზარალი, მათ დაჰკარგეს თითქმის მოიერიშე ძალის ნახევარი. გერმანიის ავიაცია სახმელეთო ძალებს კარგად ეხმარებოდა. 5 ივლისიდან თვითმფრინავთა გუნდების მიერ განადგურებულია 1.100-ზე მეტი საბჭოთა ტანკი.

გერმანელი სამხედრო კორესპოდენტი საბჭოთა ტანკების განადგურებისას განსაკუთრებით აღნიშნავს მტრის ტანკების წინააღმდეგ მფრინავ გამანადგურებელთა ეფექტურ მოქმედებას. მფრინავთა შორის გამოირჩევა კაპიტანი რუდელი, დაჯილდოებული რკინის ჯვრით მუხის ტოტებითურთ. ამ მამაცმა მფრინავმა, რომელიც ითვლის 1.200-ზე მეტ საბრძოლო გაფრენას, ღრმად შეისწავლა საბჭოთა, ამერიკული და ინგლისური ტანკების კონსტრუქცია, გაითვალისწინა მათი სუსტი მხარე. ჰაერიდან ტანკების განადგურების მეთოდი მდგომარეობს შემდეგში: აწარმოო ზუსტი პიკირება, დამშვიდებით აიღო ნიშანი, აწარმოო გასროლა და შემდეგ სწრაფად გაექანო სიმაღლეზე, რათა თვით არ მოხვდე განადგურებული ტანკის ნამსხვრევების მოქმედების არეში. კაპიტანმა რუდელმა ერთი გაფრენით შესძლო გაენადგურებინა მტრის 5 ტანკი.

კუნძულ სიცილიაზე გრძელდება ბრძოლა წინანდებური სიმძაფრით. მტრის ცდა—გაერღვია გერმანია-იტალიის ჯარების თავდაცვის ხაზი, ისე, როგორც წინათ, მარცხით დამთავრდა. მართალია, ზოგიერთ ადგილას გერმანია-იტალიის ჯარები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ცოტაოდენი სივრცე, მაგრამ ახალ პოზიციებზე, ეტნის ფერხთით, მათ გმირულად უკუაგდეს მტრის შეტევა და მიაყენეს მას უდიდესი ზარალი.

გერმანია-იტალიის ჯარის გმირული მოქმედება კუნძულ სიცილიაზე ინგლის-ამერიკელთა გაერთიანებული ძალების წინააღმდეგ უკვე ოთხი კვირაა გრძელდება. გერმანია-იტალიის ავიაცია განაგრძობს მტრის სატრანსპორტო ქარავნებისა და ხმელთაშუა ზღვის სამხედრო-საზღვაო ერთეულების ბომბარდირებას. ორი დღის განმავლობაში, 8 და 9 აგვისტოს, ძლიერ იქნა დაზიანებული მტრის 17 სატრანსპორტო გემი, 1 [illegible] და 1 მსუბუქი კრეისერი. გიბრალტარში დიდი დაზიანების შემდეგ მივიდა ინგლისის ოცდასამათასიანი ავიამზიდი „ფორმიდებლი“, რომლის გვერდზეც სჩანს მოხვედრა 3-4 ადგილას.

იტალიის ცნობილმა საიერიშო კატარღებმა გიბრალტარზე აწარმოეს წარმატებითი თავდასხმა და ჩასძირეს იქ მტრის ორი ტრანსპორტი (საერთო წყალწყვით 15 ათასი ბრუტოტონა) და ერთი ნავთისჩასასხმელი გემი. საზღვაო ბრძოლა კვლავ გრძელდება მთელი სისასტიკით. მტრის გემები განუწყვეტლივ განიცდიან გამანადგურებელ თავდასხმას.

მიმომხილველი.

ეროვნული ერთობის საფუძვლები

„ნამყო და მყობადი ქართველი ერისა" — ამ სათაურით უკვე შვიდი წერილია დაბეჭდილი. ამ წერილთა მიზანია გამორკვეულ იქნას ელემენტები, რომელნიც ქართულ ეროვნების შექმნას საძირკვლად ჩაეყარნენ, ესე იგი: მკვლევარი ეძებს იმ მოვლენებს, რომლებმაც ქართველურ მოდგმათა ხალხები ერთარსებად შეადუღა და ერთ ერად შეჰქმნა.

ამ წერილების ბეჭდვას ჩვენ გავაგრძელებთ ახალი სათაურით: „ეროვნული ერთობის საფუძვლები".

ეროვნული ფუძე—ქართული ეკლესია

თვითეული ერის ცხოვრებაში სარწმუნოება ანუ რელიგია განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს, ვინაიდან რელიგიასთან არამარტო ზნეობრივი, არამედ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობის დებულებებიც არის დაკავშირებული. ყველა ეს ერთად სახელმწიფოსა და ოჯახის არსებობაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა.

შეიძლება მართალი იყოს ის მოსაზრება, რომ ქრისტიანობა თავის დასაწყის სტადიაში დიდი რეაქცია იყო, რომ მან ანტიკური კულტურა დაამარცხა, გაანადგურა; შეიძლება ამ რეაქციამ მაშინდელი განათლებული კაცობრიობა დიდი მანძილით უკან დასწია, მაგრამ დროთა განმავლობაში, გამარჯვებულმა ქრისტიანობამ დამარცხებული ანტიკისაგან მრავალი შეითვისა და ამ შეერთებული ნაკადით უდიდესი მდინარე ქრისტიანული კულტურისა შეიქმნა, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში კაცობრიობას ჰფლობდა და თანამედროვე კულტურის საფუძველი გახდა.

ქართველ ტომთა მიწაწყალზე, ქრისტიანობის პირველ ხანებში, კერპთაყვანისმცემლობის ნაშთები მაზდეანობას ებრძოდა. ეს უკანასკნელი პირველთან შედარებით მაღალი საფეხურის რელიგია იყო (მაზდეანობა დამყარებულია მზის, დედამიწის, ცეცხლისა და წყლის გაღმერთებაზე; ქვეყანაზე არსებობს ორი ღვთაება: კეთილი—არმაზი და ბოროტი აჰრიმანი).

თავისთავად ცხადია: ძველს მაზდეანობასა და ახალს, ქრისტიანობას შორის ქართულ მიწაწყალზე დიდი ბრძოლა უნდა მომხდარიყო და, სპარსეთის პოლიტიკური გავლენის მიუხედავად, ქრისტიანობამ ჩვენში გამარჯვებას მიაღწია.

მიღებულია, რომ ქრისტიანობა აღიარებულ იქნა ჩვენში 337 წელს, ყოველ შემთხვევაში იგი მეოთხე საუკუნეში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

ჩვენ არ შევეხებით იმ დიდ დავას, რომელიც მეცნიერთა შორის არსებობს — როგორ და რა გზით გავრცელდა ქრისტიანობა ქართველთა შორის. ჩვენ აქ გვაინტერესებს ის ისტორიულ-პოლიტიკური თვალსაზრისი ქრისტიანობის გავრცელების შესახებ, რომელიც თვით ხალხსა და ისტორიკოს-მწერლებს ჰქონდათ. ეს საყურადღებოა იმ მხრივ, რომ გავარკვიოთ ქრისტიანობის გავრცელების საკითხი რა ეროვნულ პრიზმაში გადატყდა და რა ეროვნული მიდგომით დააფასეს იგი.

ქრისტიანობა უცხო იყო როგორც დოგმებით, ისე გეოგრაფიულად, როგორც შორეული უცხოეთიდან მოსული. და როდესაც ქართველებმა იგი თავის სარწმუნოებად გაიხადეს, და ქრისტიანობა გადაიქცა მსოფლიო მოვლენად, რელიგიური და კულტურული დონის აღმნიშვნელად, ქართველებს უნდა ეფიქრათ, თუ როგორ გავრცელდა იგი მათ შორის.

პირველი მეტად მნიშვნელოვანი ლეგენდა, რომელიც ამ საკითხის გარშემო შექმნილი, თვით ქრისტეს წამებას ეხება; როდესაც ქრისტე ჯვარს აცვეს და მისი სამოსი დამსწრეთ გაინაწილეს, მცხეთელი ურიებიც დაესწრნენ ამ ამბავს და მათ, ლონგინოზს და ელიოზს, ქრისტეს კვართი (პერანგი) ერგოთ, რომელიც მცხეთაში ჩაიტანეს. ამ თქმულებით მტკიცდება, რომ ქრისტიანული უძვირფასესი რელიკვია თავიდანვე ქართველების ხელში იყო. აქედან მომდინარეობს ის მოვლენა, რომ ბაგრატიონთა სამეფო ღერბზე ქრისტეს კვართიც არის გამოხატული.

ქვათახევის მონასტერი ქართლში
(მე - 10 ს.)

მეორე, აგრეთვე მნიშვნელოვანი გადმოცემა ქრისტიანობის გავრცელებისა, იმავე დასაწყისს შეეხება. ქრისტეს ამაღლების შემდეგ, რა ჟამს მოციქულებმა წილი ჰყარეს — ვინ საით უნდა გამგზავრებულიყო ქრისტიანობის საქადაგებლად, „მაშინ ყოვლად-წმინდასა ღმრთის-მშობელსა წილად ხუდა მოქცევად ქუეყანა საქართველოსა, და ეჩუენა მას ძე მისი უფალი ჩვენი, და რქუა „ჰოი, დედაო ჩემო, არა უგულებელ ვყო ერი იგი საზეპურო უფროსს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის. ხოლო შენ წარავლინე პირველ წოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხვედრებულსა. და თანა წარატანე ხატი შენი, ვითარცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს, და შენ-წილ ხატ იგი შენი მკვიდრობდეს მცველად მათდა უკუნისამდე ჟამთა". ესე იგი: საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისათვის ქადაგება წილად ხვდა ქრისტეს დედას, მარიამს, მაგრამ მარიამმა ქრისტეს რჩევით გაგზავნა ანდრია მოციქული და თან გაატანა თავისი ხატი, რომელიც ქართველთა ნათესავის ანუ ქართული რასის მცველი უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარეობს დღესაც მკვიდრად ფეხმოკიდებული შეხედულება, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხდომილი ქვეყანაა; რომ მისი ხატი მცველია მისი; რომ ანდრია პირველწოდებული იყო საქართველოში.

მეორე თქმულებაც არის, რომლის მიხედვით სიმონ კანანელიც აფხაზეთშია დასაფლავებული.

შემდეგ, კიდევ უფრო ცნობილია, რომ ქრისტიანობა განავრცელა ჩვენში ნინომ, რომელიც საქართველოს პატრონია. ყველა ეს ამბავი დღემდე ცოცხალია და მის წარმოშობას დიდი ეროვნულ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

ამ შემთხვევაშიც არის ნახმარი იგივე მეთოდი, რომლითაც ქართველი ერის წარმოშობისა და ქართველი მეფის დამკვიდრების საკითხს არკვევდნენ. ამ მსჯელობის მიზანიც იგივეა:

ჩვენ — ქართველი ერი უბრალო არა ვართ. ჩვენ ვართ თვით ქრისტეს ერი, ჩვენი ქვეყანაა მარიამის წილხდომილი; ჩვენ ვართ ქრისტიანები პირველ საუკუნიდანვე.

აქაც ეროვნული შეგნების დადგინების მოვლენაა და როდესაც ბერი ზოსიმე ამბობს, რომ ქართული ენა ქრისტეს ენაა, მეორედ მოსვლისას იგი ქართულ ენაზე გაასამართლებს ხალხსო, ამაშიც ქრისტიანულ-ეროვნული ამაღლებაა და ეროვნული თვითცნობიერების უმწვერვალესობამდე განვითარება, რომელიც მისტიციზმამდე ადის, როდესაც ერთ ქართველ ჭაბუკს ღვთისმშობელი გამოცხადებისას ქართულად ელაპარაკება და იმ რწმენაში, რომ ხალხთა გასამართლება მეორედ მოსვლისას ქართულ ენაზე მოხდება. ეს მოვლენა ქართველ ერს პირველობის აზრს აძლევს, მესიანობის მიზნებს უსახავს.

ამიტომ გასაკვირი არ არის, როცა არჩილ მეფეს ისტორიკოსი ათქმევინებს: „არა ძალითა ჩვენითა, არცა სიმხნითა, არცა სიბრძნითა, არცა სიმრავლითა სპათათა ვსძლეთ მტერთა, არამედ ჯვარითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი"...



საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა.

ქრისტიანობა არ იყო უბრალოდ რელიგია, არამედ დიდი მსოფლიო ორგანიზაციაც, — ეკლესია, რომელიც ერთა და სახელმწიფოთა ცხოვრებაში დიდ მონაწილეობას ღებულობდა. და თუ დასავლეთით იგი საერთაშორისო ხასიათს ატარებდა, აღმოსავლეთში განსაკუთრებით, ეროვნული იყო— მრავალენიანი, რაც საერთო ქრისტიანულ კულტურულ ერთობას ხელს არ უშლიდა. ამ ეკლესიის ორგანიზაციაში კათალიკოსი დამოუკიდებელი მთავარეპისკოპოსია და ხელმძღვანელი, ანუ როგორც რუის-ურბნისის ძეგლისწერა (1103 წ.) ამბობს: „ყოვლად ღირსი მთავარეპისკოპოსი, კათალიკოსი და ყოვლისა საქართველოისა მამამთავარი", ხოლო მე-13 საუკუნეში ქართველი კათალიკოსი მსოფლიო პატრიარქთა თანასწორად ითვლებოდა.

ქართულ ეკლესიას ბუნებრივად უნდა დაჰბადებოდა მიდრეკილება დამოუკიდებელი გამხდარიყო და მართლაც კათალიკოსობა დაარსდა ქართლში (ივერიაში) უკვე ვახტანგ გორგასლანის დროს (473 ან 493 წ.) ეს მოვლენა მეტად ფართო მნიშვნელობისა იყო, ვინაიდან ამიერიდან ქართულ ეკლესიას შეეძლო საკუთარი, ეროვნული პოლიტიკა ეწარმოებინა.

როდესაც აღმოსავლეთში ივერია და დასავლეთში ლაზიკა არსებობდა, „პოლიტიკურად ეს ორი ქვეყანა ბიზანტიასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული წარმართობის ხანაშიც, ხოლო გაქრისტიანების შემდეგ ორივე ქვეყნის, მეტადრე კი აღმოსავლეთ საქართველოს გულისყური და თანაგრძნობა დასავლეთის ქრისტიან სახელმწიფოსაკენ იყო მიპყრობილი". შემდეგშიაც, როდესაც სპარსეთის პოლიტიკური გავლენა ივერიაში გაიზარდა და გა[illegible], ივერიას თავისი პოლიტიკურ-კულტურული მეგობრობა ბიზანტიასთან არ შეუწყვეტია.

როცა ივერიის მეფეს ბუზმარს სპარსეთის შაჰიც და ბიზანტიის კეისარიც მძევლის გაგზავნას სთხოვდნენ, მან თავისი შვილი, პეტრე, კეისარს თეოდოსის გაუგზავნა, „რათგან ჰრომაელთა მეგობრობას, ვითარცა ქრისტიანებისას, ის ულმრთო სპარსელების დაფასებაზე უფრო აფასებდა".

როგორც ვხედავთ, ქრისტიანობამ ქართველთა საგარეო პოლიტიკაშიც გეზი შეჰქმნა და ბიზანტიისაკენ მიმართა. დასაწყისში ეს იყო უსათუოდ პოლიტიკურ-რელიგიური ალტაცების ხანა, თორემ ხშირია ისეთი შემთხვევაც, როცა ქართველებს ბერძნების წინააღმდეგ ომი უწარმოებიათ, ვინაიდან სახელმწიფოს ინტერესი ამას მოითხოვდა.

ქართველი კათალიკოსის წინაშე უნდა დასმულიყო საკითხი: მთელი ქართველი ერი თავისი ხელისუფლების დროშის ქვეშ დაერაზმა და ქართული ეკლესიის მპყრობელობა ჯერ მთელ ქართულ მიწაწყალზე განევრცელებინა. და მართლაც, ამ მიზნისაკენ მიმართული პოლიტიკის შედეგი უნდა ყოფილიყო ის მოვლენა, რომ მეექვსე საუკუნის დასასრულს, სომეხთა კათალიკოსი იოანეს ცნობით, კათალიკოსი კირიონი ხელდასმულ იქნა ქართველთა და ოდიშელთა არქიეპისკოპოსად. „ეს ცნობა იმის მომასწავებელია, რომ ქართლის, ანუ მცხეთის კათალიკოსის სამწყსოს უკვე დასავლეთ საქართველოში ჰქონდა ასპარეზი მოპოვებული და საკათალიკოსოს საზღვარი ლიხთ-იმერეთშიც იყო გადაწეული... თუ მომავალში მისი უთუობა დამტკიცდა, მაშინ ცხადი გახდება, რომ იმიერ-ამიერ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უსწრებდა და ნიადაგს გაცილებით უფრო ადრე მომხდარი საეკლესიო ერთობისა და მთლიანობის პროცესი უმზადებდა".

აქედან სჩანს, რომ საქართველოს გაერთიანებისა და ერთობის პირველი საფუძველი ქართულმა ეკლესიამ ჩაჰყარა და ქართულ კუთხეებს ერთ მთლიან, ცენტრალურ ხელისუფლებაში თავი მოუყარა.

მეშვიდე საუკუნეში წარმოებულ ქართულ-სომხურ ეკლესიურ დავასაც, რომელსაც საფუძვლად ედო დოგმატური რიგის საკითხები (ქართველები იყვნენ დიოფიზიტები, ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებათა მიმდევარნი; სომხები — მონოფიზიტები), ნაციონალური განდგომილების და განყოფის ხასიათი ჰქონდა. ეხლანდელი ტერმინები რომ ვიხმაროთ, ქართული ეკლესიის წინაშე იდგა საკითხი უფრო მისი ექსპანსიის, ეკლესიური და კულტურული იმპერიალიზმის საკითხი.

ქართულ-სომხური ეკლესიის დავა 607-8 წლების განხეთქილებით დასრულდა —ქართული ეკლესია წმინდა ეროვნული შეიქმნა: ქართული წირვა, ქართული გალობა ქართველთა მიწაწყალის აღმნიშვნელი გახდა; ამიტომ ამბობს გიორგი მერჩული: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების".

ვ. ნოზაძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

წმინდა ნინოს ჯვარი, რომელიც ინახება სიონის ტაძარში (თბილისი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ მიიღოთ ჩვენგან, ქ. ხერსონესში მყოფი ქართველებისაგან მამულიშვილური სიყვარულით აღგზნებული სალამი!

ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ისეთი ქართველი, რომლის გულშიც არ აღიძვრის თქვენდამი ღრმა პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობა გაზ. „საქართველოს“ გაცნობის შედეგად. ჩვენ, რომელთაც ოცდაორი წლის განმავლობაში სისხლით გასვრილი ბოლშევიკური ხელი ველურად გვგლეჯდა გულიდან სამშობლოს სიყვარულის უწმინდეს გრძნობას, არ შეგვიძლია არ მივესალმოთ თქვენს ვაჟკაცურ, გაბედულ და თავდადებულ საქმიანობას.

გვწამს გამარჯვება ჩვენს მხარეზე იქნება. თქვენ ამ გამარჯვების პირველი მებაირახტრენი ხართ. გვჯერა, რომ საქართველო განთავისუფლდება ბოლშევიკური ჩაგვრისაგან, გვესმის სამშობლოს ძახილი და ამ ძახილს თქვენ აძლევთ წრფელ, ვაჟკაცურ და ნამდვილი შვილის გაბედულ პასუხს.

რა საყვარელი და წარმტაცია ჩვენი გაზეთის ყოველი სტრიქონი! რა სიმართლით და სიწრფელით არის სავსე ყოველი წერილი! ჩვენ გვჯერა და გვწამს თქვენი სიტყვა. ჩვენ გვჯერა, რომ არ მომკვდარა და არც არასოდეს მოკვდება ტრფობა ქართველის გულში დედა-სამშობლოსადმი. არასოდეს არ მოკვდება ჩვენი ერი!

უღრმეს სიყვარულს, აღტაცებას და სიამაყეს იწვევს ჩვენს გულში თქვენი მუშაობა. ყველა წრფელ და სპეტაკ თანამემამულესთან ერთად, ჩვენც თქვენს მხარეზე ვართ.

შრომა და ბრძოლა, კალამი და მახვილი, სიმართლე და ვაჟკაცობა მიგვიყვანს ჩვენს სამშობლოში.

„საქართველო“ — ეს არის ყველა ქართველი მამულიშვილის საყვარელი გაზეთი. გისურვებთ წარმატებით ემსახუროთ მომავალშიაც ქართველთა წმინდათაწმინდა საქმეს.

ქ. ხერსონესში მყოფი ქართველების სახელით:

ექიმი ლ. ჭ.
ექიმი ი. ქ.
ბ. ბ.

შეამოწმე შენი სამხედრო ცოდნა

პასუხები.

1. ჩვენ ვიცით, რომ ზევით სროლის დროს საორთქლე მილზე მოძრავი მილისებური ქურო ჩასრიალდება ქვევით და გაალებს წინა საორთქლე ხვრელს, ხოლო თუ ქვევით ვისვრით — ეს პირიქით მოხდება — გაიხსნება უკანა საორთქლე ხვრელი. მაშასადამე, თუ ტყვიამფრქვევის ტანი ჰორიზონტალურ მდგომარეობაშია, ღია იქნება ის საორთქლე ხვრელი, რომელ მდგომარეობიდანაც დავაყენეთ როფი — ზევიდან თუ ქვევიდან.

2. ვინაიდან დაზგის ტყვიამფრქვევის მოძრავი ნაწილები დაზეთილია, ხოლო სიცივისაგან ზეთი სქელდება, ხახუნის წინააღმდეგობაც მატულობს, ამისათვის საჭიროა მომქცევი აშკის ზედმეტი დაჭიმვა. სიცხეში პირიქით უნდა მოვიქცეთ.

3. თუ ქვედა მსხლეტის ბორცვი მოტეხილია ან მოცვეთილი, ტყვიამფრქვევი ისვრის შეუჩერებლივ ავტომატურად.

4. თუ დაზგის ტყვიამფრქვევის კლიტე მჭიდროდ არ იკეტება, საჭიროა ბარბაცაზე დავუმატოთ ფირფიტოვანი რგოლი, ან ბრინჯაოს ქანჩი გაიწმინდოს ჟღენთილის ჭუჭყისაგან.

5. თუ დაზგის ტყვიამფრქვევის კორის ქურო არ მოძრაობს დგამზე, სროლის წარმოებისათვის მიზანში საჭიროა ტყვიამფრქვევი დავუმიზნოთ მუდმივი კორით და შემდეგ კორის რგოლის საშუალებით ავუწიოთ ლულას მიმართულება იმდენ დანაყოფზე, რამდენსაც ეფარდება მანძილი ტყვიამფრქვევიდან მიზნამდე.

ტანკების ბრძოლა ბელგოროდ-ორელშუა.

ტაქტიკური ამოცანა

გაძლიერებული მსროლელი ოცეული შეხვედრითს ბრძოლაში



მდგომარეობა

გამოყოფილი ათასეულიდან საბრძოლო დაცვაში მსროლელი ოცეული, გაძლიერებული მეტყვიამფრქვევეთა ათეულით, მოძრაობდა შარაგზით სიმაღლე 45,7 დასაკავებლად.

ოცეულის მეთაურმა, მოულოდნელი თავდასხმისაგან უზრუნველყოფის მიზნით, წინასწარ გამოჰყო პირველი მსროლელი ათეული და მძიმე ტყვიამფრქვევის გათვლა და, როგორც მოთავე ბერა, გაუშვა წინ ამოცანით: დაეკავებინათ სიმაღლე 45,7 და ეთვალთვალათ სოფელი ტიხაიას მიმართულებით ოცეულის მოსვლამდე.

მოთავე ბერა შემჩნეული იყო მტრის მიერ სიმაღლე 31,5-დან, მან არ გამოააშკარავა თავისი განლაგება.

მსროლელი ოცეული მოძრაობდა შარაგზით და უახლოვდებოდა რა სიმაღლე 45,7, ხიდთან მისვლისას მტრის მძიმე ტყვიამფრქვევმა გაუხსნა ცეცხლი სიმაღლე 31,5-დან.

ამავე დროს ოცეულის მეთაურმა მიიღო დასმენა მოთავე ბერას მეთაურისაგან, რომ სოფელ ტიხაიადან გამოვიდა მტრის ცხენოსანი მზვერავი ჯგუფი და მოიმართება შარაგზით სიმაღლე 45,7-საკენ.

მსროლელი ოცეულის მეთაურის გადაწყვეტილება

ოცეულის მეთაურმა მიიღო მხედველობაში შექმნილი მდგომარეობა, შეაფასა ადგილმდებარეობა და შემდეგს გადაწყვეტილებას დაადგა:

1. მეორე და მესამე მსრ. ათეულები მიუახლოვდნენ ბილიკით გზაჯვარედინს და დაიკავონ გამოსასვლელი ზღუდე შემდგომი შეტევისათვის. მეორე ათეულმა შეუტიოს წყაროს მიმართულებით და იერიში მიიტანოს სიმაღლე 31,5 სამხრეთი დაქანებიდან. მესამე ათეულმა მოახდინოს შემოვლა სიმაღლე 31,5 და იერიში მიიტანოს ზურგიდან.
2. ერთმა მძიმე ტყვიამფრქვევის გათვლამ დადგას ტყვიამფრქვევი ღელეში (შარაგზის პირზე) და აწარმოოს გამანადგურებელი ცეცხლი მტრის საცეცხლო პოზიციის მიმართ სიმაღლე 31,5-ზე.
3. მეორე ტყვიამფრქვევის გათვლამ დადგას ტყვიამფრქვევი ტყის პირას ქარის წისქვილთან და აწარმოოს შეუჩერებელი ცეცხლი ცალკე ხიან სიმაღლეზე მტრის ათეულის სანგრის მიმართ.
4. მესამე მძიმე ტყვიამფრქვევის გათვლამ იმოძრაოს სიმაღლე 45,7-ზე ღელეს გამოყენებით. მტრის მიერ გათოფილი ადგილები გადალახულ იქნას მძიმე ტყვიამფრქვევის გადაგორებით (ჭაპნის საშუალებით). მივა რა სიმაღლე 45,7-ზე, შეცვალოს მესამე მსრ. ათეული და ცეცხლი გახსნას მტრის ცხენოსან მზვერავთა ჯგუფის მიმართ.
5. მეოთხე მძიმე ტყვიამფრქვევის გათვლა დარჩეს თავის ადგილზე და შეასრულოს იგივე ამოცანა, რაც დაკისრებული აქვს მესამე მძიმე ტყვიამფრქვევის გათვლას.
6. მესამე მსრ. ათეული მოიხსნას სიმაღლე 45,7-დან და შეტევა აწარმოოს ცალკე ხიანი სიმაღლის მიმართ, მოვლით და იერიში მიიტანოს ნაჩვენები სიმაღლის აღმოსავლეთი დაქანებიდან.
7. ოცეულის სავაზნე და სანიტარული პუნქტები სამხრეთ ტყეში. ღელეში.
8. ჩემი სამეთაურო პუნქტი — მაღლობი ხიდთან.
9. მმართველი ათეული — ღელეში ხიდთან.
10. შეტევის დაწყება — ორი წითელი შუშხუნა სამეთაურო პუნქტიდან.

შემდგომი განკარგულება

მესამე და მეოთხე ტყვიამფრქვევის გათვლებმა, მტრის ცხენოსანი მზვერავის უკუქცევის შემდეგ, ცეცხლი გადაიტანონ სიმაღლე 31,5-ზე და ცალკე ხიან სიმაღლეზე. ამ დროს პირველი და მეორე მძიმე ტყვიამფრქვევის გათვლებმა მოახდინონ გადასვლა შემდგომ პოზიციებზე, როგორც ეს იქნება ჩემს მიერ მოცემული.

დიდი ქართველი მოღვაწენი

4. გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი)

მე-19 საუკუნის დამლევისა და მე-20 საუკუნის დამდეგის საქართველოს სახელოვან შვილთა შორის უცხო გვარის მქონე დიდი ადამიანებიც ურევია. ეს არის პოლონელი დევნილი პატრიოტის ექიმი ზდანოვიჩის შვილი, დიდი ქართველი ინტელიგენტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ზდანოვიჩი-მაიაშვილი.

გიორგი დაიბადა 1855 წელს ქუთაისში. მისი დედა იყო თავის დროზე მეტად განათლებული და დარბაისელი ქართველი ქალი მაია მიქელაძის ასული, რომელიც დედის ნანასთან ერთად თავის პირმშოს უმღეროდა ქართველი ერის წარსულზე და მომავალზე.

ახალგაზრდა გიორგი ნიჭიერი და გრძნობიერი ყმაწვილი იყო. იგი ჯერ კიდევ მოწაფეობისა და შემდეგ სტუდენტობის დროს ჩაება საზოგადოებრივ მოძრაობაში, ის იყო რევოლუციური აღტყინებით გატაცებული და ამ გზით ლამობდა საქართველოს ეროვნული თავისუფლების მოპოვებას.

ქუთაისის გიმნაზიის კურსის დასრულების შემდეგ გიორგი წავიდა რუსეთში და სწავლობდა პოლიტექნიკუმში. ეს ხანა ხასიათდებოდა დიდი ხალხოსნური მოძრაობით; რუსეთის დამპალი რეჟიმის წინააღმდეგ უკვე ძლიერი ქარი ჰქროდა. მოწინავე საზოგადოება აშკარა ბრძოლას აწარმოებდა უსამართლობის წყაროს — რუსული ბიუროკრატიის წინააომდეგ.

ახალგაზრდა სტუდენტი, გიორგი ზდანოვიჩი მთელი თავისი არსებით გახდა ხალხის მეგობარი, შეუდრეკელი მებრძოლი — „სახიფათო რევოლუციონერი“, როგორც ეს მოხსენებულია რუსეთის ჟანდარმერიის სამართველოს ოფიციალურ საბუთებში. 1877 წელს მეფის „ოხრანკამ“ დაატუსაღა 50 მებრძოლი; მოხდა დიდი გასამართლება, რომელიც ცნობილია „ორმოცდაათის პროცესის“ სახით. ბრალდებულთა შორის ერია ხუთი ქართველი, მათ შორის დიდი ქართველი მამულიშვილი გიორგი ზდანოვიჩი. მან ამ პროცესზე წარმოსთქვა სიტყვა, მეტად კეთილშობილი, ამაყი, უდიდესი რწმენით გაჟღენთილი. ეს იყო სიტყვა, რომელიც გაისმოდა როგორც გრგვინვა, მიმართული ბიუროკრატული რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს ეროვნული თავისუფლებისათვის.

რუსეთის ბიუროკრატია დაფრთხა, სასამართლომ 22 წლის ჭაბუკს, ენერგიით სავსე ახალგაზრდა მებრძოლს მიუსაჯა ექვსი წლის კატორღა. კატორღამ საგრძნობლად შეარყია მისი ჯანმრთელობა, მაგრამ ოდნავადაც არ შეუდრეკია მისი მებრძოლი სული.

1883 წელს მას თავისუფლება ეღირსა, იგი კვლავ თავის საყვარელ და მშობლიურ ქუთაისშია. ქართულმა მადლიანმა ბუნებამ მალე განკურნა კატორღით შესუსტებული ჯანმრთელობა. ის ჩაება საზოგადო საქმეებში, რაც სიკვდილამდე არ შეუწყვეტია.

გ. ზდანოვიჩი ცნობილი ქართველი ჟურნალისტია, მის კალამს ეკუთვნის მრავალი შესანიშნავი პუბლიცისტური წერილი, იგი სწერდა მაიაშვილის ფსევდონიმით.

გასული საუკუნის დასასრულს გიორგიმ, სხვა ეროვნული იდეებით გატაცებულ ქართველ ინტელიგენტებთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა ეროვნულ დარაზმულობას, რომელსაც შემდეგ გარკვეული სოციალური და ეროვნული პროგრამა შეიმუშავა. ეს ახალი მოძრაობა ცნობილია საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის სახელით. ბრძოლა საქართველოს ეროვნული თავისუფლებისათვის, ბრძოლა მშრომელი ხალხის, ე. ი. ერის საფუძვლის კეთილდღეობისათვის, ბრძოლა სამართლიანი წესწყობილებისათვის, ადამიანისათვის ადამიანური ცხოვრების მისანიჭებლად — ამ იდეებს შეუდრეკლად ემსახურებოდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში გიორგი ზდანოვიჩი.

დიდი იმედებით დატვირთული, 1917 წლის რუსეთის რევოლუციას გიორგი, მძიმე ავადმყოფი, ქუთაისში მოესწრო. რუსის ჟანდარმები გაჰქრნენ. ქართველობა საქართველოს დაპატრონებას იწყებდა. ქუთაისის მცხოვრებთა ათასეულები გიორგის სახლს მიადგნენ. მოხუცის ლოგინი ფანჯარასთან მიიტანეს, სნეულმა საზოგადო მოღვაწემ დიდი სანახაობა იხილა და მოისმინა ყიჟინა: „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს“. ავადმყოფი გიორგი ზდანოვიჩი სიხარულმა შეიპყრო, ცრემლები გადმოღვარა. დიდ ქართველ მოამაგეს სიკვდილი მოერია. ის ჩაბარდა ქართულ მიწას ალბათ სრულიად დამშვიდებული; მას სწამდა მისი ორმოცი წლის ბრძოლის დაგვირგვინება: თავისუფლების, ერის აღდგომის სინამდვილედ გადაქცევა...

მ. ტ.

კატანია

სიცილიის კოლონიზაცია ძველი ბერძნების მიერ დაიწყო მე-8 საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე. ამ კოლონიზაციამ სიცილია გადააქცია აყვავებულ და კულტურულ კუნძულად. არასოდეს სიცილია არ ყოფილა ისე მდიდარი და ძლიერი, როგორც იმ ხანებში, არასოდეს არ წარმოშობილა ამ კუნძულზე იმდენი პოემა და ფილოსოფიური სისტემა. პირველ ბერძნულ კოლონიას ეწოდებოდა ტაორმინა. მე-8 საუკუნეშივე დაარსებულ იქნა კატანია.

მაგრამ უკვე მე-5 საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე კატანია დაიპყრეს სირაკუზებმა, მცხოვრებლები მონებად გადააქციეს. უკანასკნელ საუკუნეებში კატანია აღარ თამაშობდა მნიშვნელოვან როლს. ათენელთა დამსჯელი ექსპედიციის დროს სირაკუზების წინაალმდეგ, ნახევრადდანგრეული კატანია განზე რჩებოდა. 263 წელს კატანია დაიპყრეს რომაელებმა და სახელად კატინა უწოდეს. რომაელების დროს კატინამ განიცადა დროებითი აყვავების ეპოქა; ასი წლის შემდეგ რომის იმპერია ორად გაიყო — დასავლეთისა და აღმოსავლეთის ნაწილებად.

ბიზანტიის კეისარი იუსტინიანე აწარმოებდა იმპერიალისტურ პოლიტიკას. მისი მხედართმთავარი ბალტაზარი 536 წელს გადავიდა კატანიასთან ახლოს. ამგვარად, ჯერ კიდევ მაშინ კატანია წარმოადგენდა საერთაშორისო ბრძოლის ასპარეზს. ამის შემდეგ, კატანია დაიპყრეს ჯერ სარაცინებმა, ნორმანებმა და, ბოლოს, გერმანიის იმპერატორმა ჰაინრიხ მეექვსემ. კატანიის ისტორია წარმოადგენს მთელი რიგი კატასტროფების კრებულს. მაგრამ, მიუხედავად ყველა ნგრევისა,ქალაქი იჩენდა დაუცხრომელ სწრაფვას სიცოცხლისადმი.

გარდა ისტორიისა, კატანიის მტერი ბუნებაც იყო. კატანია გაშენებულია ეტნასთან ახლოს. ეტნის ხედი წარმოადგენს ერთადერთ თავისებურ სანახაობას. თოვლითმოსილი მთა, დაფარული კვამლით, და საუცხოო მცენარეულობა მის ძირში. ბერძნები ტყუილად არ თხზავდნენ მითებს ეტნაზე. დროგამოშვებით ცეცხლის წიაღვრის განმანადგურებელი ნაკადები რამდენსამე წუთში სპობდნენ მთელი თაობების საუკუნოვანი მუშაობის ნაყოფს.

ისტორიის მანძილზე წიაღვარის საშინელი ნაკადები ექვსჯერ ამოიფრქვა იმ ადგილას, სადაც ეხლა კატანია არის გაშენებული. ქალაქი ამიტომ აშენებულია ლავისაგან და ლავაზე. გარეუბნებიდან ზღვამდის გადაჭიმულია შავი წიაღვარის გაციებული ნაკადები, რომელთა სიღრმე ათი მეტრია, ხოლო სიგანე — ასეული მეტრები. შავი ფერი კატანიაში ყველა ფერებს სჭარბობს. ზაფხულში ამ სიშავეს ამკობს ძვირფასი მცენარეულობა, ხოლო ზამთარში იგი გვევლინება მთელი თავისი სიშიშვლით, რაც კატანიას რაღაც მელანქოლიურ დაღს ასვამს. ერთმა ბუნებისმეტყველმა ტყუილად როდი უწოდა კატანიას „ცთომილის" ქალაქი.

ამ მიზეზების გამო სიძველეთა ძეგლები ვერ შეინახებოდნენ კატანიაში. დღემდის მოაღწია მხოლოდ რომის თეატრის ნანგრევებმა და რამდენიმე სხვა ნაკლებადმნიშვნელოვანმა ძეგლმა.

1669 წელს მოხდა წიაღვრის უკანასკნელი ამოფრქვევა. მაშინ დაიღუპა დაახლოებით 80.000 კაცი, ე. ი. არანაკლები იმაზე, ვიდრე მესინის მიწისძვრის დროს. კატანია ხელახლა იქნა აშენებული. ამიტომ, მიუხედავად ქალაქის დიდი სიძველისა, მისი შენობები თანამედროვე სტილით არიან აგებული.

და ასე: ნგრევა არის კატანიის მთავარი სტიქია. ამიტომ ეს ქალაქი, როგორც მოგზაურები აღნიშნავენ, ახდენს უცხო, თითქმის მიუკარებელ შთაბეჭდილებას. და თუ დღეს კატანია კვლავ წარმოადგენს გამძაფრებული ბრძოლის ასპარეზს, განიცდის რა თავდასხმას ხმელეთიდან, ზღვიდან და ჰაერიდან, ეს არის ამ ქალაქის მრავალტანჯული ისტორიის სტილით, რომელსაც არაერთხელ განუცდია ბუნებისა და ისტორიის ულმობელი დარტყმები.

სიცილიაში...

მე ქართლის მომღერალი ვარ

ეს მზე მეხურა ქართლის მიწაზეც,
ეს თეთრი ნისლი, ცა მთვარეული.
მაგრამ მზე აქ გულს ველარ მინათებს,
მთვარეც ნისლშია მთლად დალეული!

ასე მგონია: ეს ვარსკვლავებიც
სხვა ფერის იყო თბილისის ცაზე,
სხვა თვალი ჰქონდა, სხვა წამწამები,
სხვა სინარნარე და სილამაზე!

რა ვქნა, მე ქართლის ერთი ყლორტი ვარ
და, შეიძლება, სრულიად სუსტი,
მაგრამ ცოცხალი გულით მოვდივარ
და მომავალის ანთებას ვუცდი!

მე სიყვარული, თუ სინარნარე
დიდი რუსთველის და თამარისა,
ღვთიურ წალკოტად გაშლილი მხარე,
მიწა მხურვალე და თამამი ცა, —

გულში ჩავიდგი ვით დიდი კერპი,
ვით დიადი მზე და უკვდავება,
მის ღვთიურ თვალებს ვემონვი, ვეტრფი
და მე-თვით მინდა გაუკვდავება!

ხან ასეც ვამბობ: ეს უცხო მიწა,
ეს ვარსკვლავები, ეს ცა და მთვარე
და თეთრი ნისლიც, —ტყესთან რომ მიწვა,
იასამანით გავსილი მხარე,—

ალბათ ისევე საყვარელია
და საოცნებო თავის შვილისთვის,
ვით ქართლი ჩემთვის, სად მთა ჰრელია,
გულს ხვდება ვაჟას ხარის ყვირილი!

კაცი საკუთარ მიწის მოგვია,
მასში ეშლება ცხოვრება ლაღი:
მშობელი მხარე ყველას ჰგონია
ვარდის სურნელით ავსილი ბაღი!

და მეც ხომ ქართლის ერთი შვილი ვარ,
მისთვის მომღერალს აქ რა მაშინებს,
თბილისის მზეში ობლად შლილი ვარ
და დავიფერფლო მინდა მასშივე!..

მინდა ნიადაგ ვიწვა, ვიდაგო,
თმები მიწეწოს ქარმა ქართლისამ,
გული გამიხსნას ლალის მიდამომ,
წრფელი სიმღერა ხალხში გაისმას;

მინდა ვეტრფოდე ქართლის ლამაზებს,
ვიგრძნო უსაზღვრო გრძნობის დინება,
მზეს განთიადი შემომთავაზებს
და გამახარებს აღორძინება!..

ლეგ. ტ. ბარათელი.

სიმღერა

ვიგემე ბედის სიმწარე,
ცრემლი და ამოება,
ძნელი ყოფილა ყველაზე
სამშობლოს გამოთხოვება!

მთვარე რას ფიქრობს, ნეტავი
ნისლი რომ მოუხვევია,—
ჩემი სამშობლოს ამბავი
გულში ღრმად ჩაუხვევია.

ქარმა მიამბო: ჭაბუკო,
მზიდველო მწარე ხვედრისა,
მოსმინე, უნდა გაუწყო
ამბავი მშობელ დედისა:

ძუძუ დააჭრეს საბრალოს
სისხლით მოირწყო ველები
და გაიგუდნენ ამ სისხლით
ჩვენი მამულის გველები.

თქვენგან მოელის შველასა
პატარა კახის ივერი,
გქონდეთ მხნეობა ყველასა
უნდა გაჟლიტოთ იქ მტერი!

რომ ჩვენს მამულში კვლავინდებრ
ყვაოდნენ ვარდნი, იანი,
ერს ჰქონდეს ვით სიამაყე
თავისი ენა წყლიანი!

ლეგ. გ. გომარელი.

საზღვაო ომის საკითხები

ის ომი, რომელსაც ამჟამად აწარმოებენ ინგლისი და ამერიკა ევროპის წინააღმდეგ, წარმოადგენს საწყლო-სახმელეთო ომს. თვითეული ნაბიჯი, რომელიც გადადგმული უნდა იქნას ევროპის დასავლეთის მტრის ჯარების მიერ, პირველად ყოვლისა წარმოადგენს ნაბიჯს ხომალდის ხიდზე და შემდეგ კი — ხმელეთზე. ამ თვალთახედვით უნდა იქნას განჭვრეტილი ბოლშევიზმის დასავლეთის მოკავშირეთა მეთოდი ომის წარმოებისა. ამით აიხსნება სწორედ ის გარემოება, თუ რისთვის ანიჭებს გერმანიის სარდლობა ასეთ დიდსა და გადამწყვეტ მნიშვნელობას საწყალქვეშო ომს თანამედროვე მსოფლიო ბრძოლაში.

სადესანტო ოპერაციებმა სიცილიაზე აშკარად გამოამჟღავნა მტრის მიერ ომის წარმოების საწყლო-სახმელეთო ხასიათი. არავისთვის ეჭვს არ შეიცავს ის გარემოება, რომ ყოველდღიურად მტრის ხომალდთა ჩაძირვა სიცილიის წყლებსა და ხმელთაშუა ზღვაში წარმოადგენს აქტიურ თავდაცვას და ერთი რომელიმე ჩაძირული სატრანსპორტო ხომალდი, დატვირთული ტანკებით, ქვემეხებითა და ჯარებით, თანაბრად ძვირფასია და თუ შეიძლება ითქვას, უფრო მეტიც, ვიდრე ხმელეთზე წარმოებული ბრძოლა, ვინაიდან წყალში დაღუპული ჯარები და ჩაძირული სამხედრო მასალა არ ღებულობენ არავითარ მონაწილეობას ბრძოლაში

ამასთან დაკავშირებით შეიძლება ზოგიერთებს დაებადოთ ასეთი კითხვა, რატომ არ გაუწია წინააღმდეგობა მტრის ფლოტის სადესანტო ოპერაციებს იტალიის ფლოტმა და რატომ არ შეიძლებოდა ღია საზღვაო ბრძოლაში აეძულებინათ მოწინააღმდეგე დაეხია უკან სიცილიის ნაპირებიდან? ყველასათვის ცნობილია, რომ იტალიის ფლოტს გააჩნია საგრძნობლად ძლიერი ძალა, თუმცა მას არა ჰყავს დიდი რაოდენობის მძიმე, სახაზო გემები, როგორც ხმელთაშუა ზღვაზე თავმოყრილ ინგლის-ამერიკის ფლოტს, მაგრამ ხომ შეეძლო იტალიის ფლოტს მიეღო რაიმე მონაწილეობა სიცილიისათვის ბრძოლაში? ამ კითხვაზე შეიძლება ასე ვუპასუხოთ: არ იქნებოდა ევროპის თავდაცვის ინტერესებისათვის ხელსაყრელი, რომ იტალიის ფლოტს, რომელიც ამჟამად ასრულებს მთელ რიგ მნიშვნელოვან ამოცანებს, მიეღო სრული მონაწილეობა სიცილიისათვის ბრძოლაში. სიცილიის ნაპირებთან ღია საზღვაო ბრძოლისათვის საჭირო იქნებოდა იტალიის ხომალდები, რომლებიც ამჟამად, თანახმად შემუშავებული გეგმისა, იცავენ სიცილიის სანაპიროებს და ხელს უწყობენ იტალიის კონტინენტისა და ცალკეული კუნძულების ურთიერთკავშირს, თავმოყრილი ყოფილიყინ ერთ უბანში.

ეს მოასწავებდა მნიშვნელოვანი, სტრატეგიული საზღვაო ხაზების დაცვის შესუსტებას, როგორც იგი ცხადჰყო პირლ ხარბურის ბრძოლამ, სადაც იაპონიის ავიაციამ დიდი გამანადგურებელი ზარალი მიაყენა ამერიკის ფლოტს, თავმოყრილს ერთ ვიწრო სივრცეზე. ინგლის-ამერიკის ავიაცია ოპერირებას აწარმოებს სიცილიის წყლებში, რომლის ბაზას წარმოადგენს მალტა, პანტელარია და ჩრდილო აფრიკა. ამიტომ მოწინააღმდეგის ავიაციისათვის ძნელი არ იქნებოდა ბომბარდირების საფრთხის ქვეშ დაეყენებინა იტალიის ფლოტი სიცილიის ნაპირებთან. ამ შემთხვევაში იტალიის ფლოტს უნდა მიეღო საკუთარ თავზე სამმაგი რისკი: უპირველესად ყოვლისა ევროპის სანაპიროებისა და კუნძულების დაცვის შესუსტება, მეორე მხრივ საზღვაო ომის მიღება მტრის ბევრად ძლიერი ძალების წინააღმდეგ და მესამე საჰაერო თავდასხმა.

ამიტომ გასაგებია, რომ იტალიის ფლოტი შექმნილი ვითარების გამო პირველ რიგში აყენებს სიცილიისათვის ბრძოლას მხოლოდდამხოლოდ მსუბუქი ხომალდებით, მსხვილი საჰაერო ძალების დახმარებით. ევროპის დაცვის თვალსაზრისით უკეთესია მტრის საზღვაო ფლოტს მიაყენო ზიანი გერმანია-იტალიის ავიაციის ძალებით, ვიდრე ჩააყენო მტრის საჰაერო ძალების მუქარის ქვეშ იტალიის საზღვაო ფლოტი.

მეორე საკითხი მდგომარეობს იმაში,შეიძლება თუ არა ჩააბა ბრძოლაში მტრის სადესანტო ფლოტის წინააღმდეგ წყალქვეშა ნავების დიდი რაოდენობა? ამაზე უნდა ვუპასუხოთ უარყოფითად. ხმელთაშუა ზღვა თავისი წყლის ვიწრო სივრცეებით ყოველთვის შეიძლება იყოს ავიაციის მუდმივი კონტროლის ქვეშ, ამავე დროს მისი გამჭვირვალე წყლები მეტად ხელსაყრელია საწყალქვეშო ომის წარმოებისათვის. პრაქტიკულად შეუძლებელია მტრის შეუმჩნევლად თავი მოუყარონ წყალქვეშა ნავების დიდ რაოდენობას სადესანტო ფლოტის მახლობლად, რომელიც ამავე დროს დაცულია მოგუშაგე თვითმფრინავებით, რაც გამოიწვევდა წყალქვეშა ნავების უნაყოფო განადგურებას. ამგვარად, მტრის სადესანტო ფლოტის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება უნდა მიენდოს ავიაციას, რომელიც თავის ამ მეტად მნიშვნელოვან ამოცანას პირნათლად ასრულებს, რაც მოცემულია სამხედრო ცნობებში. ამას გარდა, სიცილიის წყლებში დიდი წარმატებით მოქმედებენ ღერძის სახელმწიფოთა მსუბუქი საზღვაო ძალები, რომელთა უპირატესობას შეადგენს სისწრაფე. ამას ადასტურებს გერმანიის უმაღლესი სარდლობის 21 ივლისის ცნობები, სადაც ნათქვამი იყო იმ მოულოდნელ და სწრაფ თავდასხმაზე, რომელიც მოახდინა გერმანიის სწრაფლმავალმა ნავმა მტრის ფლოტის წინააღმდეგ სიცილიის ნავსადგურ სირაკუზაში, ამ თავდასხმის დროს ჩაძირულ იქნა ორი საესკადრო ნაღმოსანი და ერთი სატრანსპორტო ხომალდი 3.000 ბრუტტოტონა წყალწყვით და ერთი სატრანსპორტო ხომალდი მძიმედ იქნა დაზიანებული.

სწრაფლმავალი ნავები ამ შემთხვევაში ეწევიან წყალქვეშა ნავების მაგიერობას, რომელთა ამოცანად რჩება ბრძოლა მტრის გემების წინააღმდეგ ღია ზღვაზე.

შეიძლება კიდევ ერთი შენიშვნა გავაკეთოთ საზღვაო ომის შესახებ, რომელიც მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის ჯერკიდევ ბნელით არის მოცული. ამ თვეში გერმანიის წყალქვეშა ნავების წარმატება საკმაოდ გაიზარდა. მას შემდეგ, რაც ივნისში ჩაძირულ იქნა მტრის 107 ათასი ბრუტტოტონა, 2-3 ივლისს ჩაძირულია 280.000 ბრუტტოტონა. გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ხელმეორედ დაიწყეს აქტიური მოქმედებანი მტრის საზღვაო ძალების წინააღმდეგ.

ამ გარემოებამ მეტად შეაშფოთა მოწინააღმდეგე ბანაკი და სწორედ ამის გამო მოხდა ის, რომ ამერიკის საზღვაო მინისტრმა ნოსკემ ერთხელ კიდევ განაცხადა, წყალქვეშა ნავები წარმოადგენენ ჩვენს „№1 მტერსო".

გერმანიის წყალქვეშა ნავები როგორც წინათ, ისე ამჟამადაც მოსვენებას არ აძლევენ მტერს. მიუხედავად მცირე შესვენებისა, რომელსაც შედეგად მოჰყვა ძლიერი გამოცოცხლება, ისინი უქმნიან უდიდეს საფრთხეს მტერს საწყლო-სახმელეთო მეთოდით ომის წარმოებისას.

ნარევი

წყლის დაზღვევა ხანძრისაგან

ამასწინათ ოსლოს (ნორვეგია) ერთერთ სადაზღვევო საზოგადოებაში გამოცხადდა გლეხი, რომელმაც სურვილი განაცხადა ხანძრისაგან წყლის დაზღვევისა. სადაზღვევო საზოგადოების მოხელეებს ეგონათ, რომ საქმე ჰქონდათ შეშლილ ადამიანთან, მაგრამ გამოირკვა, რომ ამ გლეხს აქვს პატარა ტბა, რომელშიც აშენებს ფრცელებს თევზს. ვინაიდან ამ სოფელში არ არის საკმაო რაოდენობით ჭები, ამიტომ ის შიშობს, ვაი თუ სოფელში ხანძრის გაჩენის შემთხვევაში მეხანძრეებმა დაიწყონ წყლის ამოქაჩვა ტბიდან, რის გამოც მოსალოდნელია დაიღუპოს თევზიო.

გრაფის მეუღლის ლამსდორფის დღიური.

ამ დღეებში პარიზში მეტად დიდ ფასებში გაიყიდა გასულ საუკუნეში სილამაზით განთქმულ გრაფის მეუღლის ლამსდორფის დღიური. დღიურის ბოლოში მოცემულია შემდეგი სტატისტიკური მასალები: „დაქორწინებამდე ვყოფილვარ ბალებში 225-ჯერ, ვცეკვავდი 765 მოცეკვავესთან 3.718 სხვადასხვა სახის ცეკვაში, მათ რიცხვში 1.105 ვალსში და 893-ჯერ შევასრულე პოლკა. 765 მოცეკვავიდან 639 იყო რეგვენი, 78 —მოწყენილი, 11 უხეში და 37 მოსიყვარულე; მათ შორის 18-მა ამიხსნა სიყვარული.

მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა ვულკანი.

მექსიკიდან მიღებული ცნობების თანახმად, ვულკანი პარაცუტინი ახლად აფრქვევს წიალვარს, რაც საფრთხეს უქადის სიმინდის ყანებს. ეს ვულკანი წარმოიშვა სულ სამი თვის წინათ.

ვულკანები — სამხედრო ობიექტები.

კანბერიდან მიღებული ცნობით, ავსტრალიის მთავრობამ უარყო ვულკანის ბომბარდირების პროექტი, რომელიც გაშენებულია ქალაქი რაბოლის ახლოს და დაკავებულ იქნა იაპონელთა ჯარების მიერ. ამასთან მჭიდრო კავშირშია ის ცნობაც რომ ბრიტანეთის ავიაციამ უარყო ვეზუვის ბომბარდირების გეგმა.

ამ გეგმათა აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ვულკანის ბომბარდირებით გააძლიერებულ იქნას მისი მოქმედება. მთელ მსოფლიოს ახსოვს ის ნგრევა, რაც გამოწვეულ იქნა მესინაში ეტნის ამოფრქვევით.

მაგრამ, ვულკანთა ბომბარდირების პროექტი ჯერჯერობით დატოვებულია განზე არა ჰუმანური მოსაზრებებით, რისაგანაც დიდიხანია გაინთავისუფლეს თავი საჰაერო ყაჩაღებმა. საკითხის მცოდნეები უბრალოდ მივიდნენ იმ დასკვნამდის, რომ ჯერკიდევ არ არის გამოგონებული ისეთი ძალის ბომბები, რომელთაც შეეძლებათ ხელოვნურად ვულკანის ამოფრქვევის გამოწვევა. თუ არა ეს „ტექნიკური სიძნელენი“, ეჭვი არ არის იმაში, რომ ინგლის-ამერიკელები არ ჩამორჩებოდნენ ბუნების კატასტროფის „ორგანიზაციაში“.

მებრძოლთა კულტურული დასვენება.

საინტერესო თემაზე

ბიგამია საკუთარ ცოლთან.

ბუქარესტის მოსამართლეებს ამ რამდენიმე ხნის წინათ თავი უნდა ემტვრიათ არაჩვეულებრივი იურიდიული შემთხვევის გამო, რომელიც არავითარი კანონით არ არის გათვალისწინებული. საქმე ეხება თავისებურ ბიგამიას (ორცოლიანობას), როდესაც ბრალდებული, არ გაეყარა რა თავის საკუთარ ცოლს, ჯვარი დაიწერა მასზე მეორეჯერ.

ვაჭარი დუმიტრუ 1874 წელს იწვოდა და იდაგებოდა მშვენიერი ეფრასინეს სილამაზით. მან მოიტაცა კიდეც იგი მშობელთა სახლიდან. თერთმეტი წლის შემდეგ ჯვარი დაიწერა ქალზე ყოველგვარი წესების დაცვით. როცა მათ ბავშვი დაებადათ, ერთერთმა პირმა, რომელსაც კარგად მოეხსენებოდა კანონები, აღმოაჩინა, რომ დუმიტრუს ქორწინება არ არის კანონიერი, ვინაიდან ვაჭარმა თავისი დაბადების ადგილის შესახებ არასწორი ცნობები მისცა. დუმიტრუმ განიზრახა საქმე გამოესწორებინა მეორეჯერ ქორწინებით თავის საკუთარ ცოლთან. მან ჯვარი დაიწერა სხვა რაიონში და არაფერი არ თქვა პირველი ქორწინების შესახებ.

კანონის ეს დარღვევა გამომჟღავნდა მემკვიდრეობაზე დავის დროს. დუმიტრუმ მოისურვა მთელი თავისი მემკვიდრეობა გადასცემოდა ეკლესიას, და არა საკუთარ ასულს. რუმინული კანონების მიხედვით, მას უფლება ჰქონდა თავისი ასულისათვის მემკვიდრეობა არ დაეტოვებინა მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი ორცოლიანი აღმოჩნდებოდა. ამგვარად დუმიტრუმ სასამართლოს წინაშე თავის თავს ბიგამიაში ბრალდება წაუყენა.

რუმინელი მსაჯულნი დიდხანს დაობდნენ ურთიერთშორის, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ. ვიდრე ეს საქმე გაირჩეოდა, დუმიტრუ გარდაიცვალა. ამასწინათ სასამართლომ, ვაჭრის ასულის გაწბილების მიუხედავად, მიიღო გადაწყვეტილება გარდაცვლილის ქონების ეკლესიისადმი გადაცემის შესახებ.

ფილოსოფია და ომი

გერმანიის პოეტმა პეტრ როზეგერმა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში გამოსთქვა შემდეგი აზრი: „ჩვენ დრო არა გვაქვს ფილოსოფიისა და ოცნებისათვის, ჩვენი ამოცანაა შევინარჩუნოთ არსებობა“. პირველი შეხედვით ეს აზრი სწორად გვეჩვენება: სამხედრო დაძაბულობა გვართმევს მეტად დიდ დროსა და ენერგიას, ფილოსოფიისათვის უკვე აღარ რჩება არც ერთი და არც მეორე. გერმანულ გაზეთ „ბერლინერ ბერზენცაიტუნგში“ მოყვანილია მოსაზრება ასეთი შეხედულების წინააღმდეგ.

„რაც შეეხება ფილოსოფიას, მას თითქოს უნდა ეხებოდეს ცნობილი სიტყვები: ომის დროს მუზები დადუმებული არიან. მაგრამ გერმანიის კულტურული პოლიტიკა არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. საუნივერსიტეტო ცხოვრება გერმანიაში განაგრძობს თავის არსებობას ძველებურად. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებს ისევ ექცევა საჭირო ყურადღება. პირიქით, კულტურული მემკვიდრეობის შეგნებას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორეთ ასეთ დროს, როდესაც მუქარის ქვეშ სდგას თვით დასავლეთის კულტურის არსებობა...

ყველა ამის გვერდით, გრანდიოზული სამხედრო ამბები მდიდარ მასალას იძლევიან კაცობრიობის ბედის განსჯის შესახებ. ამიტომ აქა-იქ გამოთქმული შეხედულება „ფილოსოფიის დაღუპვის“ შესახებ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს“.

გასართობი

სვლა ცხენისაა. №2.

სკო	აც	ჭა	სა
ვე	ლი	თა	დი
სა	ბს	მოხ	ყოვ
სა	რი	ხე	სა
	ქსლი	ლი	
ჯა	მო	ნი	სა
სა	სა	ცი	ჭელ
სა	ბა	ბს	ველ
სჯო	მბეჭ	ხვე	კა

ამ კვადრატებში განლაგებული მარცვლები და ასოები დაჰფარეთ ჭადრაკის ცხენის სვლით ისე, რომ მიიღოთ ცნობილი აფორიზმი „ვეფხის ტყაოსნიდან“.

*

შეადგინეთ სიტყვები. №3.

ქვემოთჩამოთვლილი მარცვლებისა და ასოებისაგან:

მე - შტე - მცხე - კი - ბო - ია - ცი - ნი - რი - შო - ბო - რე - და - ია - სი - და - მე - ფატ - ზა - არ - ნის - მბუ - ჯა - კრო - ლი - ტი - ხე - და - ზი - ლმფრქვე - ჰაუ - ვი - რი - ორ - ნი - ლი - ჩხო - ლა - მე - სე - ცილ - კვე - ნი - რი - მრე - გო - სი - ნო - რჩუ - შე - ხე - ნდი - რა - რქა - ზი - ზა - ჰენ - ი - ზა - რა - ფა - მა - მა - სი.

შეადგინეთ სიტყვები შემდეგი კითხვების მიხედვით:

1. მომცრო ნავი (იახტის სახელწოდება ქართულად), 2. ძველი ქართველი მწერალი, 3. ქალაქი გერმანიაში, 4. არაბული ზღაპრების „ათასერთღამიანის“ მთხრობელი, 5. ცთომილი (ვენერას სახელწოდება ქართულად), 6. კერპი საქართველოში, 7. საქართველოს უძველესი დედაქალაქი, 8. ძველებური ქართული თოფი, 9. ძველი ქართული სასროლი იარაღი, რომელსაც აქლემებს ჰკიდებდნენ გადასატანად, 10 ახალი გერმანული სასროლი იარაღი, 11. დიდი გერმანელი ფილოსოფოსი, 12. დაკიდული ხიდი, 13. სასიმღერო სატრფიალო ლექსი, 14. ლომის ლეკვი, 15. „ვეფხის ტყაოსნის“ ერთერთი გმირი ქალი, 16. რიონის ძველი სახელწოდება, 17. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, 18. ხის ქერქის ქვედა ფენა, 19. მთის მეტად დაქანებული ფერდობი, 20. ცნობილი ესპანელი მხატვრის გვარი.

მამულიშვილური საქმე

ჩვენს გაზეთში მოთავსებულმა მოწოდებამ ყველა ქართველი მამულიშვილისადმი, მხურვალე გამოხმაურება გამოიწვია. რედაქციაში უკვე მიღებულია რამდენიმე წერილი, სადაც სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრები ქართველი პატრიოტები გამოსთქვამენ მზადყოფნას—შეიტანონ თავიანთი წვლილი ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ დასახიჩრებულ და დაჭრილ ლეგიონერთა დახმარების ფონდში. ეს მამულიშვილური დახმარება ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ დიდი და დაუდგრომელი სიყვარულის გრძნობას, რომელიც ღვივის ყველა ჭეშმარიტი ქართველის გულში.

რედაქციაში ჯერჯერობით მიღებულია შემდეგი წერილები.

„წავიკითხეთ რა გაზ. „საქართველოს“ 18 ივლისის ნომერში მოთავსებული განცხადება ყველა ქართველი მამულიშვილისადმი, რომელიც ეხება სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი დაჭრილი და დასახიჩრებული ჯარისკაცების დახმარებას, განსაკუთრებული ფულადი ფონდის სახით, გაცნობებთ შემდეგს:

№ საამშენებლო ათასეულის მე-5 ასეულის ჯარისკაცთა და ოფიცერთა შემადგენლობაში სრულიად ნებაყოფლობით შეგროვებულ იქნა 1.086 მარკა; შემოწირული თანხა გადაიგზავნა გაზეთში ნაჩვენები მისამართით. ამავე მიზნით შემომაქვს ინდივიდუალურად 100 მარკა და მოვუწოდებ გერმანიასა და მის მოკავშირე სახელმწიფოებში მყოფ ყველა ქართველ ასეულის მეთაურს გაუწიონ ამ საშვილიშვილო საქმეს სათანადო თანაგრძნობა.

ქართული სალამით
ლეგ. ასმეთ. ი. ვ-ია.

„თქვენი გაზეთის მოწოდების საპასუხოდ გიგზავნით 180 მარკას. ეს თანხა შეგროვებულ იქნა განსვენებულ პოეტ სიმონ ბერეჟიანის ფონდისათვის ამა წლის იანვარში, მაგრამ შექმნილი პირობების გამო ვერ იქნა დანიშნულებისამებრ გამოყენებული.

ხელმომწერთა სურვილის თანახმად გთხოვთ აღნიშნული თანხა მოახმაროთ ქართველ ინვალიდ მხედართა დახმარების საქმეს“.

თამარ თაყაიშვილი-აკერმანისა.

„მხურვალედ ვესალმები თქვენს მიერ გადადგმულ ნაბიჯს ქართველ დასახიჩრებულ და დაჭრილ მხედართა დახმარების ფონდის შექმნის საქმეში, შემომაქვს ჩემი წვლილი 30 მარკის რაოდენობით და იმედს გამოვსთქვამ, რომ ქართველი საზოგადოება შეგნებულად მოიხდის ვალს სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლთა წინაშე“.

მ. ტულუში.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია მრავალათასიან ქართველ ლეგიონერთა სახელით აღფრთოვანებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ მოწოდებამ —დავეხმაროთ ქართველ მებრძოლ ახალგაზრდობას, ასე მხურვალე და ერთსულოვანი გამოხმაურება ჰპოვა ქართველ საზოგადოებაში. წვლილი, რომელიც მამულის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაჭრილთა და დასახიჩრებულთა დასახმარებლად გაიღეს ქართველმა მამულიშვილებმა, წარმოადგენს მებრძოლი ახალგაზრდობისადმი თანაგრძნობის საუკეთესო ნიმუშს. რედაქცია ღრმადაა დარწმუნებული, რომ ეს ფონდი ქართველი საზოგადოების შემდგომი დახმარებით კიდევ უფრო გაიზრდება და გაძლიერდება.

ქართველო პატრიოტებო, მამულიშვილებო! ჯერი თქვენზეა! ველით თქვენს მორიგ დახმარებასა და ქართველურ თანაგრძნობას!

ამერიკელთა თავდასხმა პლოეშტიზე

რუმინული პრესა დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს იმ თავდასხმის უშედეგობას, რომელიც მოახდინა ამერიკის საჰაერო ესკადრამ პლოეშტის ნავთის საბადოებზე. როგორც ცნობილია, ამერიკის ბომბდამშენის დიდი შენაერთებიდან შესძლო თავდასხმა მოეხდინა მხოლოდ 60-70 თვითმფრინავმა. დანარჩენი თვითმფრინავები გაფანტულ იქნენ გერმანიისა და რუმინეთის განმანადგურებლების მიერ. მტრის 36 ბომბდამშენი, ანუ 50 პროცენტი ჩამოგდებულ იქნა პლოეშტისთან. ეს შედეგები ნათლად მოწმობენ გერმანიისა და რუმინეთის ავიაციის მაღალ ბრძოლისუნარიანობას.

როგორც რუმინელი კორესპონდენტი იტყობინება, თავდასხმის პროცესში რუმინელმა მოსახლეობამ გამოიჩინა სრული სიმშვიდე, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი მფრინავები, როგორც ეს მათ სჩვევიათ, ტყვიამფრქვევებს უშენდნენ მინდორზე მომუშავე გლეხებს, აგრეთვე ესროდნენ მოძრაობაში მყოფ სამგზავრო მატარებელს. თავდასხმით გამოწვეული ზარალი უმნიშვნელოა.

მთავარი რედაქტორი
ასმეთ. გაი მადაურიძე
რედაქციის მისამართი:
Berlin W 8, Behren-Strasse 65/III

ქართული სტამბა. Berlin—Wilmersdorf
Hohenzollerndamm 15